საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 29 სექტემბერი, 2022 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/03

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 და 38-ე მუხლების და „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ მე-12 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის მიზნით არჩევნები დაინიშნოს 2022 წლის 13 ოქტომბერს.

2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბხსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №103), 2022 წლის 03 ოქტომბრიდან 2022 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, გარდა შაბათ-კვირისა, 10:00 საათიდან -16:00 საათამდე.

3. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

დ) ნასამართლობის შესახებ ცნობა (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის

საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება) - გაცემული განცხადების წარმოდგენამდე 15 დღის ვადაში;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ზ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) სამოქმედო გეგმა.

4. აკადემიურ საბჭოში კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმის განხილვა დაიწყოს 2022 წლის 13 ოქტომბერს, 13:00 საათზე, კენჭისყრა გაიმართოს 14 საათსა და 30 წუთზე.

5. დადგენილება გამოქვეყნდეს ბხსუ-ს ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**